ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 82 (4592) 1972 წ. 26 აპრილი, ოთხშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



## ნაყოფიერი წელიწადი

„ბურევესტნიკის" რესპუბლიკურმა საბჭომ, უმაღლესი სასწავლებლების სპორტკლუბებმა, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრებმა შარშან ნაყოფიერად იშრომეს სტუდენტთა მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული ოსტატობის დონის ამაღლებისთვის.

გადაჭარბებით შესრულდა სპორტის ოსტატების, თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა-ვალდებულება.

ამ დღეებში სასიხარულო ცნობა მოვიდა მოსკოვიდან: „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, 1971 წლის შედეგების მიხედვით რესპუბლიკების სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისთვის „ბურევესტნიკის" საქართველოს საბჭო გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა. ასევე გარდამავალი დროშა მიიღო ჩვენმა რესპუბლიკურმა საბჭომ ბავშვთა შორის სპორტმასობრივ მუშაობაში მოპოვებული წარმატებებისთვის.

„ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვდნენ, აგრეთვე, თბილისის უნივერსიტეტის სპორტული კლუბი — ტექნიკური ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის, და გორის ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტული კლუბი — პედაგოგიური ინსტიტუტების სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის.

ქუთაისის წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტული კლუბი საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში II ადგილზე გავიდა, რისთვისაც დაჯილდოებულია ვიმპელითა და მეორე ხარისხის სიგელით.

**გ. გოლაშვილი,**
„ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგე.

თბილისის კალათბურთელები საგაზაფხულო სეზონს ტრადიციულად ო. ავალიშვილის სახელობის თასის გათამაშებით იწყებენ. წლევანდელ ასპარეზობაში ქალთა და ვაჟთა 8-8 გუნდმა მიიღო მონაწილეობა.

ქალთა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, წარმატებით იასპარეზეს თბილისის უნივერსიტეტის კალათბურთელებმა, თუმცა გამარჯვება მათ დაძაბული და შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ დარჩათ (აქ ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება: ყოველი ტაიმი ათწუთიანი იყო და გუნდებიც თავიანთ შესაძლებლობათა მთლიანად გამოვლენას ვერ ასწრებდნენ).

თავდაპირველად უნივერსიტეტელებმა დაამარცხეს უცხო ენათა ინსტიტუტის კოლექტივი — 42:32 (19:12), მერე კი პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის გუნდი — 29:11 (15:11). ფინალში ისინი „უშბის" კალათბურთელებს შეხვდნენ, რომლებმაც თავის მხრივ სძლიეს „დინამოს" — 30:16 (16:8) და ფიზკულტურის ინსტიტუტს — 26:24 (13:15, 24:24).

ფინალი მძაფრი ბრძოლით აღინიშნა. ძირითადმა დრომ უძლიერესი ვერ გამოავლინა — 28:28. პრიზის მფლობელის ვინაობა მხოლოდ მესამე ტაიმში გაირკვა: გაიმარჯვეს უნივერსიტეტელებმა — 32:30.

დაძაბულად წარიმართა ვაჟთა გუნდების ასპარეზობაც. აქ ფავორიტებად „დინამოსა" და „ბურევესტნიკის" დუბლიორები ითვლებოდნენ. ისინი შეხვდნენ კიდეც ერთმანეთს ფინალში. ბურევესტნიკელებმა დაამარცხეს საკავშირო პირველობაში ორგზის გამარჯვებულნი — „დინამოს" კალათბურთელები — 30:29 (16:12), და ტრადიციული პრიზიც მოიპოვეს.

**ნ. ფცქიალაძე.**

## ამერიკელი კალათბურთელები საბჭოთა კავშირში

როგორც ცნობილია, სსრ კავშირში ტურნეს ატარებს ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელთა ოლიმპიური ნაკრები. სტუმრებმა უკვე ორი მატჩი ჩაატარეს მოსკოვში.

მომდევნო შეხვედრების კალენდარი ასეთია: 26 აპრილი — კიევი (უკრაინის ნაკრებთან), 28 აპრილი — ვილნიუსი (ლიტვის ნაკრებთან), 30 აპრილი და 2 მაისი — ტარტუ (ესტონეთის გუნდთან და სსრ კავშირის კლუბების ნაკრებთან), 6 და 7 მაისი — თბილისი (თბილისის „დინამოსთან" და საქართველოს ნაკრებთან).

* * *

სურათზე: სსრ კავშირის კლუბების ნაკრებისა და ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიური გუნდის შეხვედრის მომენტი.

ტ. ფებრაუსკასის ფოტო („ტრუდი").

## პრიზები და მათი მფლობელები

### [illegible]-72

● **კიევი, 24 აპრილი.** საბჭოთა მშვილდოსნებმა ოლიმპიური სეზონი აქ გამართული საკავშირო შეჯიბრებით დაიწყეს. ოთხ დისტანციაზე სროლის ჯამში ქალთა შორის ყველას აჯობა მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა, მოსკოველმა ე. გაპჩენკომ — 2375 ქულა. 70 მეტრზე სროლაში საუკეთესო იყო ლენინგრადელი ა. პეუნოვა (579 ქულა), 60 მეტრზე — გაპჩენკო (594), 50 მეტრზე — ლვოველი ვ. კოვპანი (574), 30 მეტრზე — პიარნუელი ე. სუიტსი (650). ვაჟთა შორის გაიმარჯვა ევროპის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, ლვოველმა ვ. სიდორუკმა — 2352 ქულა. მანვე ყველას აჯობა 90 (512 ქულა) და 70 მეტრზე (591) სროლაში. 50-მეტრიან დისტანციაზე შეჯიბრებაში ყველაზე ზუსტი აღმოჩნდა ლვოველი ლ. სტრელბიცკი (597), ხოლო 30 მეტრზე — ოდესელი ი. ფაინშტეინი (670).

● **დონის როსტოვი, 24 აპრილი.** ადგილობრივ სპორტის სასახლეში დღეს დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირისა და იაპონიის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდების პირველმა ამხანაგურმა შეხვედრამ. ბრძოლა უაღრესად მწვავე და დაძაბული იყო: ანგარიშით 3:2 (15:13, 16:14, 16:18, 6:15, 15:6) გაიმარჯვეს მასპინძლებმა. საბჭოთა გუნდში განსაკუთრებით შედეგიანად ითამაშეს ვ. პუტიატოვმა, ვ. პატკინმა და ა. საპრაკინმა. იაპონელი ფრენბურთელები ხვალ აქ კიდევ ერთხელ შეხვდებიან სსრ კავშირის ნაკრებს, მერე კი ეს გუნდები ორჯერ, 28 და 29 აპრილს, გამოვლენ ერთმანეთის პირისპირ ლენინგრადში. სსრ კავშირში სტუმრადაა, აგრეთვე, იაპონიის ფრენბურთელ ქალთა ნაკრები, რომელიც ოთხჯერ შეხვდება საბჭოთა ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენებს: 25 და 26 აპრილს — ლენინგრადში, 28 და 29 აპრილს — მინსკში. მაისში საბჭოთა ნაკრები გუნდები საპასუხო ვიზიტით იაპონელებს ესტუმრებიან.

● **ხარკოვი, 24 აპრილი.** იუნიორ ძალოსანთა პირად-გუნდურ საკავშირო პირველობაში მოსპარეზე ა. არაფხანოვმა (ქვემძიმე წონა) დიდ წარმატებას მიაღწია: ამ 19 წლის მახაჩყალელმა ათლეტმა 151 კგ აიტაცა, რაც იუნიორთა მსოფლიო რეკორდია.

## მსოფლიო ჩემპიონის კარგი დებიუტი

**მინსკი, 24 აპრილი.** მსოფლიო ჩემპიონმა მ. დემაიმ (საფრანგეთი), რომელიც პირველად მონაწილეობდა რაპირისტ ქალთა აქ მიმდინარე ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ბელორუსის თასზე, ყველას აჯობა პირად ჩათვლაში. ფინალში მან ხუთი ორთაბრძოლა მოიგო. გადამწყვეტ „დუელში" იგი მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ოქროს ლაურეატს, მინსკელ ე. ბელოვას შეხვდა. ბრძოლა უაღრესად მძაფრი და საინტერესო იყო. თავდაპირველად სტუმარი დაწინაურდა, მერე კი ბელოვამ მიაღწია წარმატებას. და აი, როცა ანგარიში 3:3 გახდა, დემაიმ შეძლო მრისხანე მეტოქის დამარცხება.

III ადგილი დაიკავა გამარჯვებულის თანამემამულემ ბ. გოპე დიუმონმა, რომელმაც სამი შეხვედრა მოიგო.

ასეთივე შედეგებით დაამთავრეს ფინალური ეტაპი მოსკოველმა ა. კოროლიოვამ და პოლონელმა კ. სკლადანოვსკამ, მაგრამ ისინი შესაბამისად IV და V ადგილებზე გავიდნენ, ვინაიდან ჩხვლეტების უარესი ბალანსი აღმოაჩნდათ.

ვერც ერთი ბრძოლა ვერ მოიგო შვედმა კ. პალმმა, რომელმაც ბოლო, VI ადგილი დაიკავა.

— ძალიან მწყინს, რომ ამ საინტერესო შეჯიბრებაში ვერ ვასპარეზობ, — უთხრა საკლესის კორესპონდენტს ცნობილმა საბჭოთა მოფარიკავემ, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, მოსკოველმა გ. გოროხოვამ, რომელიც შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატში მიღებული ტრავმის შემდეგ ჯერ კიდევ ვერ გამოდის საფარიკაო ბილიკზე. — ტურნირის ფინალური ორთაბრძოლები არაფრით ჩამოუვარდებოდა მსოფლიო ჩემპიონატსა და ოლიმპიურ თამაშებს. ბელოვასა და დემაის „დუელი" შეჯიბრების ნამდვილი მშვენება იყო. ჩემი აზრით, ლენამ ბრძოლა მეტისმეტი სიფრთხილის გამო წააგო.

ახლა ბრძოლაში გუნდები ჩაებნენ. მათი ასპარეზობა 25 აპრილს დამთავრდება.

### [illegible] ... 19-ზე

◆ **ლოძი, 25 აპრილი.** აქ დამთავრდა კალათბურთელ ქალთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი. I ადგილისთვის ბრძოლაში პოლონეთის ჩემპიონმა „ლკს"-მ ანგარიშით 70:54 სძლია თბილისის მაკრებს.

◆ **მადრიდი, 25 აპრილი.** უეფა-ს ტურნირის (ესპანეთი, 13-22 მაისი) პირველ ეტაპზე სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრების მეტოქეები უნგრეთის, გფრ-ისა და შოტლანდიის გუნდები იქნებიან (II ჯგუფი). ეს თამაშები ვალენსიაში გაიმართება. სხვა ჯგუფების შემადგენლობები ასეთია: I — საფრანგეთი, ჰოლანდია, ნორვეგია, პორტუგალია; III — ბელგია, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, იუგოსლავია; IV — ესპანეთი, იტალია, მალტა, რუმინეთი. ნახევარფინალური შეხვედრები, რომლებშიც ჯგუფებში გამარჯვებულები ითამაშებენ, 20 მაისს გაიმართება ვალენსიასა და ბარსელონაში, ორი დღის შემდეგ კი ბარსელონაში ფინალური მატჩი მოეწყობა.



როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, 25 წლის მოსკოველმა ზ. რუდნოვამ როტერდამში გამართულ ევროპულ ჩემპიონატში შეინარჩუნა კონტინენტის ჩემპიონის წოდება მაგიდის ჩოგბურთში. ოქროს მეორე მედალი რუდნოვას თანაქალაქელ ს. გომოზკოვთან ერთად შერეული დუეტების თანრიგში ხვდა, ხოლო ბრინჯაოსი — ს. ფიოდოროვასთან წყვილში.

სურათზე: ზ. რუდნოვა ასპარეზობისას.

გ. ვიანოროვის ფოტო („კომსომოლსკაია პრავდა").

## სავალდებულო პროგრამის შემდეგ

**რიგა, 24 აპრილი.** დღეს ადგილობრივ სპორტის სასახლეში სტარტი აიღო ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირმა, რომელშიც 17 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ. სავალდებულო პროგრამის „წყალქვეშა რიფები" ყველაზე უმტკივნეულოდ გაიარო სსრ კავშირის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, ვლადიმირელმა ნ. ანდრიანოვმა. მისმა ასპარეზობამ მკაცრი მსაჯების საკმაოდ მაღალი შეფასება დაიმსახურა. მათ მხოლოდ რგოლებზე ვარჯიშში ჰქონდათ პრეტენზია ახალგაზრდა სპორტსმენის მიმართ. დანარჩენ იარაღებზე ანდრიანოვის გამოსვლა 9,40-9,65 ქულის ფარგლებში შეფასდა. საერთოდ კი პირველი დღის შემდეგ ვლადიმირელ ტანმოვარჯიშეს ქულათა საუკეთესო ჯამი აღმოაჩნდა — 56,55.

მოწინავე სამეულში შევიდნენ მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ვ. ფოგელი (55,65) და, ცოტა არ იყოს მოულოდნელად — გფრ-ის ჩემპიონი, 23 წლის ვ. მესინგერი (54,90).

ტურნირის წინ პროგნოზებში სხვადასხვაობა თითქმის არ იყო: მრავალჭიდში I ადგილს თითქმის ყველა საბჭოთა ან იაპონელ ტანმოვარჯიშეებს უწინასწარმეტყველებდა, მით უმეტეს, რომ ამომავალი მზის ქვეყანამ რიგაში გამოგზავნა იაპონიის ამასწინანდელ ჩემპიონატში გამარჯვებული ს. კასამაცუ, ბჯენით ხტომაში მსოფლიო ჩემპიონი მ. ცუკახარა და ძალიან ნიჭიერი სპორტსმენი ს. მიკი. მაგრამ ამათგან პირველ ექვსეულშიც კი ვერ მოხვდა ვერც ერთი: საუკეთესომ — ცუკახარამ მხოლოდ VII ადგილი დაიკავა (54,30 ქულა).

უკვე პირველი იარაღის შემდეგ (ტაიჭი), რომელიც იაპონელი სტუმრებისთვის ძალიან ჭირვეული გამოდგა, მათმა მწვრთნელმა, ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონმა ი. ენდომ შეშფოთებით გადააქნია თავი: ცუკახარაცა და კასამაცუც იარაღიდან ჩამოვარდნენ და შესაბამისად 8,55 და 8,20 ქულა მიიღეს. ისინი ვერც რგოლებზე გამოვიდნენ კარგად და მხოლოდ ორძელსა და ძელზე შეძლეს ერთგვარი რეაბილიტაცია რიგელთა თვალში. მაგრამ აქ ყველა დარწმუნებულია, რომ იაპონელები თავიანთ სიტყვას 26 აპრილს იტყვიან, როცა ნებისმიერი პროგრამით გაიმართება ასპარეზობა.

გვიან ღამით დამთავრდა ქალთა სავალდებულო პროგრამა. ლიდერობა ხელთ იგდო გროდნოელმა მოსწავლემ ო. კორბუტმა, რომელმაც 37,65 ქულა დააგროვა. II ადგილზეა მინსკელი ა. კოშელი (37,30), ხოლო III — მოსკოველი ო. კარასიოვა (37,15).

უცხოელ მონაწილეთა შორის საუკეთესო შედეგს მიაღწია ბ. ვერკამ (გდრ), რომელმაც V ადგილი დაიკავა (36,65).

ტანვარჯიში

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვენ • უკვე ვიუწყებოდით, რომ თბილისის არმიის სპორტული კლუბის სტადიონზე დედაქალაქის მოსწავლეთა XXVIII სპარტაკიადის საზეიმო გახსნის დროს 26 კომისრის რაიონის 1000-ზე მეტი მოსწავლე გამოვიდა მძლეოსნობაში „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად. ჩვენი ფოტოკორესპონდენტის ი. იუნაევის სურათებზე სწორედ ნორმატივების ჩაბარების მომენტებია აღბეჭდილი.



## ჩვენი სპორტსადგამის მეჯიდეთან

ამჟამად ყველგან მასობრივად მიმდინარეობს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება. სტარტზე გამოდიან ფაბრიკა-ქარხნების, დაწესებულებების, ზოგადსაგანმანათლებლო, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები, სულ სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანები. ამ დიდ ფერხულში სოფლის მშრომელებიც ჩაებნენ.

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი თ. ბაჩეჩილაძე ამ დღეებში „კოლმეურნის" აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარეს შ. მიქელაძეს ეწვია და სთხოვა მას პასუხი გაეცა სოფლად ახალი კომპლექსის დანერგვასთან დაკავშირებულ რამდენიმე შეკითხვაზე.

● გხვდებათ თუ არა სიძნელეები სოფლად ახალი კომპლექსის დანერგვის საქმეში? თუ გხვდებათ, თქვენი აზრით, როგორ შეიძლება მათი დაძლევა?

— სოფლის ფიზკულტურულ კოლექტივებში ახალი კომპლექსის ჩაბარების ორგანიზაცია ბევრ თავისებურებასთანაა დაკავშირებული. ცხადია, მუშაობის ფართოდ გაშლისთვის ყველგან ერთნაირი პირობები როდი არსებობს, თუნდაც ბაზების გამო. მაგრამ, თუ ადგილობრივ საშუალებებსა და შესაძლებლობებს უნარიანად გამოვიყენებთ, ყველგან შეიძლება სასურველ სტუმარს საკადრისი მასპინძლობა გაეწიოს. ერთი კი აუცილებელია: ფიზკულტურული მუშაკები და აქტივი მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ მინდობილ საქმეს.

კომპლექსი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის თანამედროვე ეტაპზე სახელმძღვანელო საგანია. ამიტომაც მისი ღრმად შესწავლა პირველ ყოვლისა ჩვენი დარგის მუშაკებს მოეთხოვებათ.

● რა კონკრეტული ღონისძიებები აქვთ დასახული აფხაზეთის სოფლის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ახალი კომპლექსის მასობრივად დასანერგად?

— მზადება იმით დავიწყეთ, რომ აქტივთან ერთად ყოველ წვრილმანზე გულისყურით ვიმსჯელეთ. კოლექტივებში უკვე დამთავრდა ახალი კომპლექსის მიმღები კომისიების შექმნა. ცალკეულ სახეობებში მზადება კარგა ხანია დაიწყო. ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, აგრეთვე, კულტურის სახლებში, სასოფლო კლუბებში და სპორტულ ბაზებზე გამოიკრა კომპლექსის ნორმატივები და სააგიტაციო პლაკატები. სოფლის საზოგადოებრიობის თავშეყრის ადგილებში სისტემატურად ვატარებთ ლექცია-მოხსენებებსა და კითხვა-პასუხის საღამოებს, ვიწვევთ სახელოვან სპორტსმენებს, ვეტერან ფიზკულტურელებსა და ნიშნოსნებს. კომპლექსის აგიტაციას ვეწევით უშუალოდ ბრიგადებში და სამუშაო უბნებზეც. საამისოდ შეირჩა აქტივი. ადგილებზე აქტივისტები ფიზაღზრდის მასწავლებლებთან ერთად მუშაობენ. ფიზაღზრდის მასწავლებლები საწარმო სამრეწველო ორგანიზაციებთან ერთად პრაქტიკულ საქმიანობაში დიდ დახმარებას გვიწევენ.

სიმაღლეზე და სიგრძეზე ხტომაში, ბირთვის კვრაში, ხელყუმბარის ტყორცნაში და სიმძიმეების აწევაში წვრთნას და ნორმატივების მიღებას უშუალოდ შრომის ფრონტზე, შესვენების დროსაც მოვაწყობთ. ეს შეჯიბრებას ხასიათს მიიღებს და შრომასაც ხალისს შემატებს.

კოლექტივებსა და რაიონულ საბჭოებს დავალებული აქვთ დაგეგმონ შეჯიბრებები კომპლექსის პროგრამით. გადაწყვეტილია, რომ საზოგადოების საოლქო საბჭოს პირველობებზე კომპლექსის ჩაბარებას ცალკე დრო დავუთმოთ. კოლექტივების სპეციალისტური შეჯიბრების დებულებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი ნიშნოსანთა მომზადება იქნება.

● საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობაზე შევხვდით სოხუმის კომკავშირის რაიკომის პირველ მდივანს, სპორტის ოსტატ ი. ჭანტურიას. მან აღნიშნა, რომ დიდი ყურადღება მიექცევა კომპლექსის ერთ-ერთ სახეობას — ცურვას. ამ საქმეში დასასვენებლად ჩამოსულებსაც გაუწევენ დახმარებას. თქვენ როგორ აპირებთ ამ თხოვნის განხორციელებას?

— ჭანტურიას მოსაზრება საყურადღებოა და იგი ჩვენ სპეციალური მსჯელობის საგნად ვაქციეთ. ახლა სწორედ მიღებული გადაწყვეტილების შესრულებისთვის ვმუშაობთ. ზღვისპირა რაიონებში და დასახლებულ პუნქტებში ვარჩევთ ადგილებს, სადაც გარკვეულ დღეებსა და საათებში ცურვის ნორმატივების მიმღები კომისია იმუშავებს. ჩვენც ასე განვიზრახეთ: ცურვაში ნორმების ჩაბარების საშუალება ექნება არა მარტო ადგილობრივ მოსახლეობას, არამედ ჩამოსულ სტუმრებსაც. ვინც დებულებით გათვალისწინებულ ნორმატივს შეასრულებს, მიიღებს ცნობას, რომელსაც შემდეგ თავის ფიზკულტურულ კოლექტივში წარადგენს.



ალმა-ათა. სსრ კავშირის სპორტკომიტეტმა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის სამკერდე ნიშნებას 6 ათასზე მეტი ესკიზი განიხილა.

კონკურსში გამარჯვება ხვდა ალმაათელ სპორტის დამსახურებულ ოსტატს, მთამსვლელ ე. კოლოკოლნიკოვს. ყაზახეთში იგი მარტო სპორტში მოპოვებული წარმატებებით როდია ცნობილი. კოლოკოლნიკოვი ბევრი სპორტული სამკერდე ნიშნისა თუ მედლის ავტორია, მხატვრულად გაუფორმებია სპორტული დღესასწაულები.

სურათზე: სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. კოლოკოლნიკოვი ახალი სპორტული სამკერდე ნიშნის ესკიზზე მუშაობისას.

გ. პოპოვის ფოტო (საქდესი).

„ლელოს" ინფორმაცია

## ცეცხლის ხაზზე

ზუგდიდის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა დოსააფის რაიონულ კომიტეტთან ერთად ჩაატარა შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში. ტურნირი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა.

ვაჟთა შორის 81 ქულით I ადგილი დაიკავა კ. ლამხიამ (კორცხელი). II ადგილზეა თ. ჩილაჩავა (ჭკადუაში) — 80 ქულა, III — შ. ფიფია (ზედა ეწერი) — 79.

ქალთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა მ. კოდუამ (აბასთუმანი) — 73 ქულა.

გუნდური გამარჯვება ზედა ეწერის საშუალო სკოლის მსროლელებმა იზეიმეს. II ადგილზე გავიდა ჭკადუაშის კოლმეურნეობის ნაკრები; III — ნარაზენის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი.

კ. ფიფია.

ზუგდიდი.

### გაგრა

ჩატარდა „კოლმეურნის" რაისაბჭოს პირველობები ჭადრაკსა და ფრენბურთში. მოჭადრაკეთა ტურნირში ყველას აჯობა მეფრინველეობის ფაბრიკის კოლექტივმა. ფრენბურთელთა ასპარეზობაში გაიმარჯვა სოფ. სალმის კოლმეურნეობის „დრუჟბის" გუნდმა. დაკომპლექტდა რაისაბჭოს ნაკრები, რომელიც აფხაზეთის სოფლის სპორტსმენთა პირველობაში იასპარეზებს.

შ. ჭელიძე,
„კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარე.

### ჩხოროწყუ

სოფ. ლესიჭინის ჩაის მეურნეობის საშუალო სკოლაში ჩატარდა მოჭადრაკეთა პირველობები. ვაჟებთა შორის ჩემპიონი გახდა მეცხრეკლასელი ფ. სახურია, გოგონებს შორის — მერვეკლასელი მ. სიჭინავა.

ს. ჯალაღონია.

### ქარელი

აქ მოეწყო რაიონის მოჭადრაკეთა ჩემპიონატი, რომელშიც 15 კაცი მონაწილეობდა. დიდი წარმატებით ითამაშა აგარის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ს. თოთლაძემ, რომელმაც ყველა მეტოქე დაამარცხა და ჩემპიონის სახელიც შეინარჩუნა. II ადგილზეა ა. შალუტაშვილი (ბრეთი). III-IV ადგილები გაიყვეს შ. კრიხელმა (დამზადების კონტორა) და ლ. ჯაგლოყემა (აგარა).

მ. ხარატიშვილი,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი.

### წითელი წყარო

ორ დღეს მიმდინარეობდა რაიონის მოჭადრაკეთა ტურნირი გარდამავალ თასზე. 15 გუნდს შორის იმარჯვა სოფ. ჯაფარიძის ნაკრებმა. ცალკეულ დაფებზე საუკეთესონი იყვნენ თ. ბენაშვილი (სატყეო მეურნეობა), გ. ტოკლიკიშვილი და ე. რობიტაშვილი (ორივე — სოფ. ჯაფარიძე).

* * *

დამთავრდა რაიონის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. I ადგილი დაიკავეს ქვემო ქედის, II — ზემო ქედის, III — სოფ. ჯაფარიძის წარმომადგენლებმა.

უ. წყარუაშვილი.

1500 მ ი. ლისეცკი — 16.45,2; ა. იორდანიშვილი — 17.35,5; ნ. ზემლიანუხინი — 17.51,0; ა. კლიმენკო — 18.20,5; ვ. გონჩაროვი — 18.23,0; ვ. თხორი — 18.27,4; ა. იოაკიმიდი — 18.32,6; ვ. კრასკო — 18.32,6; ვ. მაკაროვი — 19.17,5 (57), თბილისი, „დინამო"; ვ. ონუფრიენკო — 19.25,7.

საშუალო შედეგი: 1970 წ. — 20.29,7; 1971 წ. — 18.20,2.

ბრასი. 100 მ. ი. კირდიანოვი — 1.08,9 (50), თბილისი, „დინამო"; ა. იევლევი — 1.10,3 (54), თბილისი, „დინამო"; დ. სირაძე — 1.10,9 (55), თბილისი, „დინამო"; ა. ფეოკტისტოვი — 1.11,8 (52), თბილისი, „განთიადი"; თ. ბახუტაშვილი — 1.14,0 (57), თბილისი, „დინამო"; რ. ყაზაროვი — 1.14,7 (51), თბილისი, „ბურევესტნიკი"; ა. იოაკიმიდი — 1.17,2; ს. ხურციძე — 1.18,1 (55), ქუთაისი, „განთიადი"; ა. კარტაშოვი — 1.19,8 (51), ქუთაისი; ს. ოჩხაიძე — 1.20,1 (54), ქუთაისი, „განთიადი".

დასასრული. იხ. „ლელო" № 78.

## საქართველოს

საშუალო შედეგი: 1970 წ. — 1.15,5; 1971 წ. — 1.14,5.

200 მ. ი. კირდიანოვი — 2.31,9; ა. იევლევი — 2.32,5; დ. სირაძე — 2.32,6; ა. ფეოკტისტოვი — 2.47,0; რ. ყაზაროვი — 2.50,3; ვ. სიროტინი — 2.50,8 (56), თბილისი, „განთიადი"; ა. იოაკიმიდი — 2.52,3; თ. ბახუტაშვილი — 2.52,5; ა. კარტაშოვი — 2.54,0; დ. ელიზბარაშვილი — 2.54,2 (58), თბილისი, „დინამო".

საშუალო შედეგი: 1970 წ. — 2.48,4; 1971 წ. — 2.45,8.

ბატერფლაი. 100 მ. ა. ბუკაშკინი — 1.02,6; ვ. გრიგორაშჩენკო — 1.02,7; ნ. ზემლიანუხინი — 1.04,5; ა. იოაკიმიდი — 1.04,7; ე. ზელიონი — 1.04,7; გ. შეხიკიანი — 1.05,4 (48), თბილისი, „დინამო"; ვ. ვოგოლევი — 1.05,6 (52), თბილისი, „განთიადი"; ა. ხეხტოიანი — 1.05,9 (49), თბილისი, „დინამო"; ს. მატვეევი — 1.06,1; ნ. პოგორელოვი — 1.06,6; დ. სირაძე — 1.06,6.

საშუალო შედეგი: 1970 წ. — 1.06,1; 1971 წ. — 1.04,9.

200 მ. ა. იოაკიმიდი — 2.16,0; ა. ბუკაშკინი — 2.20,5; ა. ხეხტოიანი — 2.20,7; ა. იორდანიშვილი — 2.24,3; გ. შეხიკიანი — 2.27,0. ნ. ბაშარული — 2.28,9 (57), თბილისი, „დინამო"; ვ. ვოგოლევი — 2.29,3;



# საგანაცხადო შემადგენლობანი

23 აპრილს დაიწყო საკავშირო გათამაშება „ა“ კლასის II ლიგის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. გთავაზობთ III ზონაში მონაწილე საქართველოს გუნდების საგანაცხადო შემადგენლობებს.

**„მეტალურგი“ (რუსთავი)**

მეკარეები: ო. ნარსია (1945 წელს დაბადებული, სპორტის ოსტატი), თ. ტეტელაშვილი (1953).

მცველები: თ. კორაშვილი (1951), ნ. ჩიტაური (1951), ვ. ლობანოვი (1949), შ. ჭეიშვილი (1948), ო. ბერულავა (1953), ტ. წიკლაური (1952).

ნახევარმცველები: გ. სიჭინავა (1944, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი), ა. ილიადი (1945, სპორტის ოსტატი), ვ. ჩიტაური (1949), თ. კონიაშვილი (1942).

თავდამსხმელები: ნ. ბაჩიაშვილი (1951), თ. მიქაშავიძე (1948), თ. ღოღობერიძე (1948), ფ. ანთაძე (1953), ი. ალადაშვილი (1950).

უფროსი მწვრთნელი — გ. კოჭიაშვილი, მწვრთნელი — ბ. ხვედელიძე.

**„დინამო“ (ბათუმი)**

მეკარეები: ჯ. მორჩილაძე (1950), ვ. პავლოვი (1944).

მცველები: ნ. ხიზანიშვილი (1953), ა. სირბილაძე (1946), ა. გეორგიადი (1945), მ. გაგუა (1949), მ. წივწივაძე (1951), თ. ცინარიძე (1949), ვ. ქორიძე (1949).

ნახევარმცველები: ი. ესეპუა (1948), ტ. ილურიძე (1946, სპორტის ოსტატი), ვ. მაჩხულიანი (1943), ვ. ჩხარტიშვილი (1940, სპორტის ოსტატი).

თავდამსხმელები: ვაჟა კვიტაიშვილი (1946), გ. ქიქავა (1947), ს. რამიშვილი (1949), ლ. გუჯაბიძე (1949), ვახტანგ კვიტაიშვილი (1952).

გუნდის უფროსი — სპორტის ოსტატი ა. კვაჭაძე, უფროსი მწვრთნელი — რსფსრ-ს დამსახურებული მწვრთნელი ბ. ცირიკი, მწვრთნელი — თ. კვახაძე.

**„მერცხალი“ (მახარაძე)**

მეკარეები: ბ. აროშიძე (1949), რ. შარაშენიძე (1948).

მცველები: გ. როგავა (1948), გ. თურმანიძე (1947), ვ. პაპავა (1950), მ. მირიანაშვილი (1946), ე. დოლიძე (1945), ი. ჩხაიძე (1946, სპორტის ოსტატი).

ნახევარმცველები: პ. ნემსაძე (1947), ჯ. კაკალაძე (1951), ნ. ჩხარტიშვილი (1947), ვ. გოგოტიშვილი (1951).

თავდამსხმელები: ო. ბახტაძე (1949), თ. მეტრეველი (1947), რ. ისიანი (1944), მ. ჭელიძე (1947).

გუნდის უფროსი — მ. გორდელაძე, უფროსი მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ა. ნორაკიძე, მწვრთნელი — ბ. ტაბიძე.

**„კოლხეთი“ (ფოთი)**

მეკარეები: ა. მარინი (1941), ს. იორამაშვილი (1949).

მცველები: მ. ფილია (1948), თ. ბურჭულაძე (1949), პ. კალიუჟინოვი (1941), ვ. გუდავაძე (1948), მ. ქუდრიავცევი (1950), ი. როხვაძე (1951).

ნახევარმცველები: ს. კანკავა (1949), დ. არზიანი (1944), ვ. მადანი (1947), ს. დოროშინი (1950), ა. ბორშჩი (1948).

თავდამსხმელები: რ. სანაია (1948), ა. ჭედია (1946), თ. ჯაიანი (1947), გ. კვარაცხელია (1948).

გუნდის უფროსი — ა. ხუხია, უფროსი მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ვ. ცინკლერი, მწვრთნელი — ი. გვაზავა.

**„დილა“ (გორი)**

მეკარეები: რ. ბერიძე (1948), შ. ტატაევი (1952).

მცველები: რ. ამბრიაშვილი (1950), თ. ადუაშვილი (1953), ი. გლავაცკი (1948), მ. კობიაშვილი (1945), ა. ხოხობაშვილი (1952).

ნახევარმცველები: ჯ. მარღიშვილი (1950), ვ. ხანიშვილი (1951), ე. ბერიკაშვილი (1953), ბ. ჯორბენაძე (1948), თ. ბურჯანაძე (1947), ო. მელაძე (1951).

თავდამსხმელები: თ. ბუზალაძე (1953), გ. პაპიაშვილი (1948), ნ. ქერდიკაშვილი (1953), ე. ხუციშვილი (1943, სპორტის ოსტატი).

გუნდის უფროსი — ე. ჯიოშვილი, უფროსი მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გ. გაბუნია, მწვრთნელი — ვ. ფუტკარაძე.

**„დინამო“ (სოხუმი)**

მეკარეები: გ. ახალაძე (1945), ო. გაბელია (1953).

მცველები: გ. ზარია (1945, სპორტის ოსტატი), გ. გოგიშვილი (1947), ს. ხაშბა (1945), ი. ანასტასიადი (1953), ნ. ფიჩია (1952), ო. კაბაკოვი (1951).

ნახევარმცველები: ა. ერქომაიშვილი (1945, სპორტის ოსტატი), მ. ფენდერავა (1950), ვ. ხარტაკოპულო (1952), გ. აქსიონოვი (1946).

თავდამსხმელები: ვ. დელბა (1944), გ. გაბისკირია (1947), ვ. ტროიანი (1947), ა. ხაშალიანი (1955).

გუნდის უფროსი — ო. ძიძიგური, უფროსი მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გ. გრამატიკოპულო, მწვრთნელი — პ. სიჭინავა.

**„გურია“ (ლანჩხუთი)**

მეკარეები: ე. იმედაძე (1948), ზ. კუნჭულია (1948).

მცველები: გ. აბზიანიძე (1948), ე. სილაგავა (1946), რ. ქირია (1949), რ. ნიკოლაიშვილი (1949), რ. ვაწაძე (1950).

ნახევარმცველები: ა. მენთეშაშვილი (1948), ჯ. აპაიშვილი (1946), გ. შავდია (1941), მ. ძაგანია (1943), რ. ჩხარტაშვილი (1947).

თავდამსხმელები: ბ. სიხარულიძე (1947), თ. ჯაში (1949), ვ. ძიძიგური (1945, სპორტის ოსტატი).

გუნდის უფროსი — გ. დუნდუა, უფროსი მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი შ. კაკაბაძე, მწვრთნელი — ნ. ნარიაშვილი.

სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგა

## 0 : 0 და... ცვლილებები კალენდარში

24 აპრილს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის IV ტურის ბოლო მატჩი. მოსკოვის „ლოკომოტივმა“ თავის მინდორზე მიიღო ვოროშილოვგრადის „ზარია“, დაძაბულ ბრძოლას ფრე მოჰყვა — 0:0.

ახლა ჩემპიონატში მოკლევადიანი შესვენებაა — 2 მაისამდე.

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 26 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია“ | 4 | 3 | 1 | 0 | 7—1 | 7 |
| „ზენიტი“ | 4 | 2 | 2 | 0 | 8—5 | 6 |
| ცსკა | 4 | 3 | 0 | 1 | 6—3 | 6 |
| „დინამო“ (კ.) | 4 | 3 | 0 | 1 | 5—4 | 6 |
| „დინამო“ (თბ.) | 4 | 2 | 1 | 1 | 4—1 | 5 |
| „ლოკომოტივი“ | 4 | 1 | 3 | 0 | 2—1 | 5 |
| „დნეპრი“ | 4 | 1 | 2 | 1 | 7—7 | 4 |
| „დინამო“ (მნ.) | 4 | 1 | 2 | 1 | 2—2 | 4 |
| „ნეფთჩი“ | 4 | 2 | 0 | 2 | 3—4 | 4 |
| „არარატი“ | 3 | 1 | 1 | 1 | 6—2 | 3 |
| „ყაირათი“ | 4 | 0 | 3 | 1 | 2—3 | 3 |
| „სპარტაკი“ | 4 | 1 | 1 | 2 | 3—5 | 3 |
| „დინამო“ (მ.) | 3 | 1 | 0 | 2 | 2—2 | 2 |
| „კარპატი“ | 4 | 1 | 0 | 3 | 2—5 | 2 |
| ასკ | 4 | 0 | 1 | 3 | 1—6 | 1 |
| „ტორპედო“ | 4 | 0 | 1 | 3 | 1—10 | 1 |

* * *

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით 2 მაისის ნაცვლად 3 მაისს შედგება ორი მატჩი: „დინამო“ (თბილისი) — „ნეფთჩი“ (ბაქო), „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — ცსკა.

ორჯონიკიძე, 24 აპრილი. ქალაქის მძლეოსანთა პირველობაში მოსპარეზე ბ. კარაევმა საკავშირო რეკორდი დაამყარა ბადროს ტყორცნაში — 63,84 მ. ეს შედეგი 14 სანტიმეტრით აღემატება ტალინელი ვ. კუუსემიაეს შარშანდელ მიღწევას.

ნიჭიერმა ორჯონიკიძელმა მძლეოსანმა, სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდის კანდიდატმა, სსრ კავშირის პირველობათა მრავალგზის პრიზიორმა და ჭაბუკთა ჩემპიონმა სარეკორდო მაჩვენებელს პირველივე ცდაზე მიაღწია.

აღსანიშნავია კარაევის სხვა ამდღევანდელი მაჩვენებლებიც: 63,20 და 63,32 მ.

## პირველი შეხვედრები

კატოვიცე, 24 აპრილი. დღეს აქ დაიწყო ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. ასპარეზობაში თავდაპირველად ჩაებნენ უმჩატესი (48 კგ), მჩატე (52 კგ) და ქვემსუბუქი (57 კგ) წონების ათლეტები. საბჭოთა მოჭიდავეებმა სამივე წონაში წარმატებას მიაღწიეს.

უმჩატეს წონაში ბაქოელმა რ. გაჯიევმა ქულებით სძლია პოლონელ კუდელსკის. ქულებით მოიგო თავისი პირველი ბრძოლა მახაჩყალელმა ა. ალახვერდიევმაც (მჩატე). პოლონელი სტეციკი დიდი გაჭირვებით გადაურჩა წმინდა წაგებას.

თავი გამოიჩინა კიეველმა ი. კულეშოვმაც, რომლის მეტოქე პირველ წრეში ავსტრიელი ხაოკი იყო. საბჭოთა ათლეტმა ბრძოლა ვადამდე დაამთავრა.

● ●

◆ კატოვიცე, 25 აპრილი. თავისუფალ ჭიდაობაში აქ მიმდინარე ევროპული ჩემპიონატის პირველი დღის შემდეგ ათივე საბჭოთა ათლეტი ვანაგრძობს საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას. ზოგიერთი გუნდის, მათ შორის, სსრ კავშირის ნაკრების ხელმძღვანელებმა ფავორიტთა ნაცვლად ხალიჩაზე დებიუტანტები გამოიყვანეს, რომლებმაც გაამართლეს კიდეც იმედი: ორი წმინდა მოგება აქვს კიეველ კულეშოვს (ქვემსუბუქი წონა), თითო — ორჯონიკიძელ პლიევს (მსუბუქი), თბილისელ მარსაგიშვილსა და მინსკელ სიულჟინს (პირველი საშუალო). ახალბედებს არც ვეტერანები ჩამორჩნენ. კონტინენტის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა, კრასნოიარსკელმა იარიგინმა (ქვემძიმე) 45 წამში ბეჭებზე დასცა შვეიცარიელი იუტცელერი, მაგრამ ეს „რეკორდი“ მალე დაამხო რუმინელმა მძიმეწონოსანმა სტინგუმ. მისი მეტოქე, შვეიცარიელი ჰოიტხაუზი 36 წამში „მოთავებული“ იყო. მსოფლიოს ექსჩემპიონი, მოსკოველი სტრახოვი (მეორე საშუალო) ამაოდ ცდილობდა რუმინელი მურკოვის წმინდად დამარცხებას. რუმინელი კრიტიკულ მომენტებში ხალიჩიდან გარბოდა, ამიტომ სამი გაფრთხილება მიიღო და პასიური ბრძოლის გამო მოიხსნა. სახელგანთქმული მინსკელი ათლეტის მედვედის გამოსვლამ განუზომელი ინტერესი გამოიწვია. იგი 6 კილოგრამით მჩატე აღმოჩნდა თავის მეტოქეზე, გდრ-ის წარმომადგენელ ვირტელაკზე (118 კგ). 5 წუთსა და 7 წამში გაიმარჯვა მედვედმა. ორი მოგება აქვს ყველაზე მსუბუქ საბჭოთა ათლეტს, ბაქოელ გაჯიევს, მაგრამ ორივე — ქულებით. 2 საჯარიმო ქულით მას ძალიან გაუჭირდება ევროპის ჩემპიონის წოდების შენარჩუნება. მახაჩყალელ ალახვერდიევს (მჩატე) ორი შეხვედრის შემდეგ 1,5 საჯარიმო ქულა აქვს. მოსკოველი კაზახოვი მაყურებლის როლში აპირებდა აქ ჩამოსვლას, მაგრამ სამშობლოდან გამომგზავრების წინადღით ავად გახდა მახაჩყალელი ნასრულაევი. და აი, სათადარიგო მოჭიდავე, როგორც ჩანს, სწრაფად ვერ განეწყო საასპარეზოდ და წააგო მრედერთან (გდრ), მეორე შეხვედრა კი ფრედ დაამთავრა როსტთან (გფრ). ახლა კაზახოვს 5 საჯარიმო ქულა აქვს და 26 აპრილს ფინალში გამოსასვლელად მან ყველა მეტოქე წმინდად უნდა დაამარცხოს.

### სერჟანტის წერილი

ვიტალი გოლობოვმა ფირმა „კზილ-ტუში“ წერილი გამოგზავნა: „მე უკვე უმცროსი სერჟანტი ვარ. ბევრ საზოგადოებრივ დავალებასაც ვასრულებ: ვაფორმებ ლენინის ოთახებს, ვამზადებ მასალებს თვალსაჩინო აგიტაციისთვის. ამას წინათ საშოფრო სკოლაშიც ვიყავი, ამხანაგებთან ერთად ბავშვთა სპორტული თამაში „ზარნიცა“ ჩავატარე. სკოლამ რაიონში II ადგილი დაიკავა. მე და ჩემმა ამხანაგებმა სკოლის დირექტორისა და ნაწილის მეთაურისგან მადლობა მივიღეთ. ძალიან მეხმარება ჩვენს დოსაafის ორგანიზაციაში მიღებული ცოდნა“.

ალმა-ათის ფირმა „კზილ-ტუს“ დოსაafის სპორტსმენებს 45 თასი, ათობით სიგელი და დიპლომი აქვთ მოპოვებული. კოლექტივში მაღალ დონეზე დგას სპორტულ-მასობრივი და თავდაცვითი მუშაობა. ეწყობა ლაშქრობები რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში. დოსაafელები სხვადასხვა სექციაში არიან გაერთიანებული. განსაკუთრებით აქტიურია საპარაშუტო სექცია, რომელსაც ამ სახეობაში ყაზახეთის ჩემპიონი ნ. პრიგოჟევა მეთაურობს.

დიდად პოპულარულია სროლა და სათხილამურო სპორტი. მუშა-მოსამსახურეთა შეჯიბრებები დასვენების ქალაქგარე ბაზაზე ეწყობა — გამაჯანსაღებელ ბანაკ „ორბიტაში“ ტარდება წვევამდელთა შეკრებებიც. მათგან ბევრმა უკვე ჩააბარა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ კომპლექსის ნორმატივები.

დოსაafის კომიტეტში აქვთ საქაღალდე, რომელსაც ასე აწერია: „ჩვენ გვწერენ“. სწორედ ამ საქაღალდეში ჩააკერეს ვ. გოლობოვის წერილიც.

ვ. ევდოკიმოვი.

ალმა-ათა.

### „ჯანგი“ ფალავნებს ხალიჩაზე უხმობს

აზერბაიჯანული „ჯანგი“ აგერ უკვე რამდენიმე საუკუნეა ამშვენებს ფალავანთა ყველა ორთაბრძოლას. ამჟამად მან ხალიჩაზე უხმო ეროვნულ ჭიდაობა „გიულეშში“ რესპუბლიკური პირველობის ფინალის მონაწილეებს. სპორტის ეს უძველესი სახეობა, რომელიც ჯერ კიდევ დიდი ნიზამის პოემებშია ნახსენები, ახლა თითქოს ხელახლა აყვავდა. აზერბაიჯანში არ არის სოფელი, სადაც გიულეშის დღესასწაულები არ ტარდებოდეს. რაღა გასაკვირია, რომ ფინალურ შეჯიბრებაში 350-მდე სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. მათგან ათმა ჩემპიონობა და ამ სახეობაში აზერბაიჯანის პირველი სპორტის ოსტატის სახელი მოიპოვა.

სპორტის ოსტატის № 1 სამკერდე ნიშანი გადაეცა ბელოქანის რაიონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სტუდენტს, 18 წლის რ. ურკაევს. იგი სულ ერთი წელია ჭიდაობს, მაგრამ უკვე უძლიერესის სახელი მოიპოვა უმჩატეს წონით კატეგორიაში. რესპუბლიკურ პირველობაში მან შეხვედრების ნახევარზე მეტი ვადამდე დაამთავრა — ბეჭებზე დასცა მეტოქენი.

ეს შეჯიბრება ჭაბუკ ფალავანს იმიტომაც დაამახსოვრდება, რომ პრიზი გადასცა აზერბაიჯანის ოცგზის ჩემპიონმა, რესპუბლიკის უხუცესმა მოჭიდავემ რ. ბახშალიევმა, უმაღლესი კლასის ათლეტთა მთელი თაობის აღმზრდელმა.

ვ. მოროზოვი.

ბაქო.

## 10 საუკეთესო

**ცურვა**

1971 წლის შედეგების მიხედვით

ვ. მაიდულოვი — 2.29,5 (58), თბილისი, „დინამო“, ა. ზელენკინი — 2.30,0 (54), სოხუმი, „დინამო“, ვ. ონუფრიენკო — 2.31,1 (49), თბილისი, „შრომითი რეზერვები“.

საშუალო შედეგი: 1970 წ. — 2.33,4; 1971 წ. — 2.25,7.

გულაღმა ცურვა. 100 მ. ვ. კრასკო — 1.01,8, თ. ხუბულაშვილი — 1.03,5; ვ. გონჩაროვი — 1.04,1, ნ. ბაშარული — 1.07,4; დ. ფროლოვი — 1.08,6 (52), ბათუმი, „განთიადი“; ვ. გაბისონია — 1.08,8 (55), სოხუმი, „დინამო“; ა. ვეჩხაიზერი — 1.08,9 (58), თბილისი, „განთიადი“; ი. არინინი — 1.09,5 (55), ბათუმი, „განთიადი“; ჯ. ჩაბაკაური — 1.09,7 (53), თბილისი, „შრომითი რეზერვები“. ზ. ჩხაიძე — 1.11,0 (53), თბილისი, „ბურევესტნიკი“.

საშუალო შედეგი: 1970 წ. — 1.08,8; 1971 წ. — 1.07,3.

200 მ. ვ. კრასკო — 2.14,4, ვ. გონჩაროვი — 2.17,8; თ. ხუბულაშვილი — 2.21,8; ნ. ბაშარული — 2.22,6; ვ. გაბისონია — 2.31,8, გ. აბრამიანი — 2.33,2 (55), ბათუმი, „განთიადი“; დ. ფროლოვი — 2.33,5; ი. არინინი — 2.33,7; ნ. კაპანაძე — 2.34,5 (56), თბილისი, „დინამო“. ჯ. ჩაბაკაური — 2.35,7.

საშუალო შედეგი: 1970 წ. — 2.31,3; 1971 წ. — 2.27,9.

კომპლექსური ცურვა. 200 მ. ი. კირდიანოვი — 2.19,5; ა. იოაკიმიდი — 2.19,6; ნ. ზემლიანუხინი — 2.19,7; გ. შეხიკიანი — 2.19,9 ვ. გონჩაროვი — 2.21,5; დ. სირაძე — 2.22,2; გ. აბრამიანი — 2.23,0, ა. ბუკაშკინი — 2.23,2, ა. იორდანიშვილი — 2.23,2, ვ. გრიგორაშჩენკო — 2.23,5.

საშუალო შედეგი: 1970 წ. — 2.29,5; 1971 წ. — 2.21,5.

400 მ. ა. იოაკიმიდი — 4.49,9; ნ. ზემლიანუხინი — 4.57,9; გ. შეხიკიანი — 4.58,0; ა იორდანიშვილი — 5.06,2; ნ. ბაშარული — 5.15,2; ი. კირდიანოვი — 5.15,4; ბ. გრიგორიევი — 5.26,0 (56), ჭიათურა, „განთიადი“; ა. იევლევი — 5.26,7; გ. მაკაროვი — 5.31,0.

საშუალო შედეგი: 1970 წ. — 5.31,6; 1971 წ. — 5.10,4.

# მოუსვენარი ჩელ იზაქსონი

ლორენსი (აშშ), 24 აპრილი. „კანზასის ესტაფეტებში“ მოასპარეზე შვედმა ჭოკით მხტომელმა ჩ. იზაქსონმა კვლავ შეუტია თავის მსოფლიო რეკორდს, მაგრამ ამჯერად საწადელს ვერ მიაღწია: მართალია, გაიმარჯვა, მაგრამ „მხოლოდ“ 531 სმ გადალახა.

II ადგილზე გასულმა ჰ. ლაგერკვისტმა ასეთივე სიმაღლე დაძლია, მაგრამ გამარჯვებულ თანამემამულეს ცდების მიხედვით ჩამორჩა.

III ადგილი ხვდა ოლიმპიურ ჩემპიონს, ამერიკელ ბ. სიგრენს — 518 სმ. აღსანიშნავია, რომ სიგრენი ყოველ ახალ შეჯიბრებაში აუმჯობესებს თავის შედეგებს.

მასპინძელმა ბ. შურმა 216 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა, ხოლო ო. ფოიერბახმა (აშშ) 21,05 მეტრზე ჰკრა ბირთვი.

## ჩვენი

„ოლიმპიადამდე — 556 სანტიმეტრი! ასეთია ჩემი ამოცანა, — განუცხადა ჟურნალისტებს სტოკჰოლმის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა ჩელ იზაქსონმა, როცა ქალაქ ოსტენში (აშშ) გამართულ ტრადიციულ „ტეხასის ესტაფეტებში“ ასპარეზობისას ჭოკით ხტომაში მსოფლიო რეკორდი (551 სმ) დაამყარა. — თუ მიუნჰენის სტარტამდე პირობა შევასრულე, ოლიმპიადაში გამარჯვების იმედიც მექნება, თორემ ისე საკმაოდ ძლიერი მეტოქეები მყავს, რომლებიც ჩემს ოდნავ წაფორხილებასაც კი გამოიყენებენ. განსაკუთრებით ბერძენ პაპანიკოლაუსა და გერმანელ ნორდვიგს უნდა ვუფრთხილდე“.

იზაქსონი რომ არ ხუმრობს, ამას სპორტსმენის ფიზიკური მომზადება და ოსტენის შემდეგ მოწყობილი სტარტებიც ცხადყოფენ. იზაქსონი საკმაოდ სწრაფია, 100 მეტრს 11 წამში დარბის, ჭოკით მხტომელისთვის კი სისწრაფეს არსებითი მნიშვნელობა აქვს. ჩელი სპრინტში ყოველდღიურად ნახევარ საათს ვარჯიშობს, ნახევარ საათსაც შტანგით წვრთნას უთმობს, დანარჩენი დრო კი სპეციალური ვარჯიშისთვის აქვს განკუთვნილი. თითქმის მთელ დღეებს სტადიონზე ატარებს და ჭოკით ხტომაში მეცადინეობს. ვარჯიშს იგი უმეტესად 500 სანტიმეტრზე გადებულ თამასაზე იწყებს და ბოლო ხანებში ხშირად 540 სანტიმეტრზე ამთავრებს. ჩელს სანუკვარ მიზნამდე მხოლოდ 2 სანტიმეტრიღა რჩება. როგორც წინა ნომერში ვიტყობინებოდით, ლოს-ანჯელესში „კოლიზეუმის“ სტადიონზე გამართულ შეჯიბრებაში მან 554 სმ სიმაღლე დაძლია.

ეს უჩვეულო სურათი ჰელსინკშია გადაღებული: სპორტსმენი ვარჯიშობს... წყალში სირბილში. სპორტის ამ ახალი სახეობის მიმდევრებს წყალქვეშა სპრინტერებს უწოდებენ. აი, ეს ჭაბუკიც ზაფხულის გატარებას ფინეთის 60 ათასი ტბის ფსკერზე აპირებს...



ობიექტივში მსოფლიო

■ წყალქვეშა სპრინტერი
■ ნაღვლიანი სურათი
■ თავის აღსაზრდელებთან

# სამასპინძლოდ ემზადებიან

თითქმის ორი წელია იუგოსლაველები ვაჟთა XX და ქალთა V საჭადრაკო ოლიმპიადების ჩასატარებლად ემზადებიან. ვაჟებს ქალაქი სკოპლე უმასპინძლებს, სადაც ბრძოლა 18 სექტემბერს დაიწყება, ქალებს — აგარაკი ოხრიდი.

1963 წელს სკოპლემ დიდი მიწისძვრა გადაიტანა, მაგრამ ამ უძველეს ქალაქს დახმარების ხელი გაუწოდეს და იგი მალე გაიმართა წელში. სწორედ იმ დროიდან იქცა ტრადიციად სკოპლეში თვალსაჩინო სპორტული შეჯიბრებების გამართვა.

სკოპლელები მოჭადრაკეთა შესახვედრად გულდაგულ ემზადებიან. ისინი აპირებენ თავიანთ ქალაქში გადმოიტანონ ქალთა ოლიმპიადაც, რომელიც 26 სექტემბერს უნდა დაიწყოს. აშენებენ ახალ სასტუმროს, რომელიც 400 კაცს დაიტევს. ოლიმპიელებისა და სტუმრებისთვის გამოყოფა კიდევ ორი სასტუმრო — „გრანდ-ოტელი“ (150 ადგილი) და „მეტროპოლ-პანორამა“ (500 ადგილი). თუ ესეც საკმარისი არ აღმოჩნდა, სკოპლეს სხვა სასტუმროებს დამატებით 500 კაცის მიღება შეუძლიათ. თუ გაჭირდა, სტუმრებს დააბინავებენ მეზობელ პატარა ქალაქებში — კუმანოვოსა და ტიტოვ-ველესშიც.

იმატებს რესტორნების რიცხვიც, სადაც თითქმის მთელი მსოფლიოს ხალხთა ეროვნული კერძები მომზადდება.

ფიდე 76 ქვეყანას აერთიანებს. ოლიმპიადაში 70 სახელმწიფოს წარმომადგენელთა მონაწილეობაა მოსალოდნელი. საორგანიზაციო კომიტეტი უკვე შეუდგა მოჭადრაკეთა რეგისტრაციას, რაც 16 ივნისამდე გაგრძელდება. თამაშის სურვილი უკვე განაცხადეს გდრ-ის, ლუქსემბურგის, მონაკოს, მალტის, ინგლისის, ჩეხოსლოვაკიის, ისრაელის, ესპანეთის, იუგოსლავიის, ტუნისისა და ჩილის მოჭადრაკეებმა.

ოლიმპიადას 10 ათასზე მეტი მაყურებელი ეყოლება. მათი მომსახურების მიზნით დაიდგმება საგანგებო ეკრანი, რომელზეც პარტიებს აჩვენებენ. ყოველი ტურის მესამე საათზე გამოიკვრება მატჩებისა და ცალკეული პარტიების შედეგების მაუწყებელი სპეციალური ბიულეტენი.

გათვალისწინებულია უძლიერეს დიდოსტატთა პარტიების დემონსტრირება როგორც სკოპლეს ცენტრში, ისე იუგოსლავიის სხვა დიდ ქალაქებში. ტელევიზიით მთელი მსოფლიო რამდენიმეჯერ ნახავს ოლიმპიადის მსვლელობას.

სკოპლეს მუნიციპალიტეტის მესვეურნი დაეხმარნენ საორგანიზაციო კომიტეტს, რომ ოლიმპიადის დროს სკოპლე ავიახაზით დაკავშირებული იყოს ნიუ-იორკთან, კარაკასთან, სამხრეთ ამერიკისა და აზიის ქვეყნებთან. ოლიმპიადის მონაწილეთათვის ბილეთები შეღავათიან ფასებში გაიყიდება.

დაისტამბება წინა 19 ოლიმპიადისადმი მიძღვნილი წიგნები, რომელთა ავტორები არიან ცნობილი მოჭადრაკეები და ჟურნალისტები ს. გლიგორიჩი, ი. ივკოვი, ა. მატანოვიჩი, ვ. ვუკოვიჩი, ბ. რაბარი, ი. ხიტფრევსკი, ბ. კაჟიჩი და სხვ.

იუგოსლაველთა მზადებას ამას წინათ გაეცნო ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტი ი. შაიტარი (ჩეხოსლოვაკია) და მისი მიმდინარეობა მოიწონა.

ახლა ორგანიზატორები ფიქრობენ როგორ ააწყონ ოლიმპიური თამაშები, რომ ვაჟთა და ქალთა ტურნირები სინქრონულად ჩატარდეს.



გასულიოს პროფესიული ველოსპორტის საუკეთესო წარმომადგენლის, საგზატკეცილო რბოლის ბელგიელი დიდოსტატის ე. მერქსის ცხოვრებაში ბევრ სიხარულთან ერთად დიდი ნაღველით აღსავსე დღეებიც ყოფილა. ამ სურათზეც სწორედ ერთი ასეთი მომენტია აღბეჭდილი, როცა იტალიის გზებზე გამართული შეჯიბრების დროს მერქსს გამოუცხადეს, რომ დოპინგის მიღების გამო ასპარეზობიდან მოხსნილი იყო.

ასოშიეიტედ პრესის ფოტო.

მელბურნის ოლიმპიური თამაშების (1956 წ.) ჩემპიონი სიგრძეზე ხტომაში, პოლონელი ე. კშესინსკა-დუნსკა დიდი ხანია მწვრთნელად მუშაობს და საკმაო წარმატებითაც: მისი აღზრდილი მძლეოსნები კარგად ასპარეზობენ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო შეჯიბრებებში. ამ სურათზე თქვენ ხედავთ ე. კშესინსკა-დუნსკას (მარჯვნივ) თავის აღსაზრდელებთან.

ტ. პრაჟმოვსკის ფოტო („სპორტოვეცი“).



## საქმოსნები ხელს ითბობენ

ამერიკული ჟურნალი „ჩეს ლაიფ ენდ რეეიუ“ მკითხველებს აუწყებს, რომ „კოლექტორ რეკორდზის“ ფირმამ გამოუშვა ფირფიტა შვიდწუთიანი ისტორიული გრამჩანაწერით ბობის ცხოვრებისა და საჭადრაკო გამოსვლების, აგრეთვე, სპასკისთან მისი მომავალი მატჩის შესახებ. „ბალადას ფიშერზე“ ასრულებს ჯო გლიაზერი ანსამბლ „ფრანკეტირებული კუს“ თანხლებით. ვინც ერთზე მეტ ფირფიტას შეიძენს, ფოსტის ხარჯებს არ გადაიხდის.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტული ბუნიბი

აკრობატიკა. სპორტის სასახლე. 26-28 აპრილი. სსრ კავშირის ჩემპიონატი. დასაწყისი 11 და 18 ს.

ჩვენი მისამართი, ტელეფონები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99 56 14, რედაქტორის მოადგილე — 93 97 51, პასუხისმგებელი მდივანი — 93 97 52, მასობრივ ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93 97 55, სპორტული განყოფილება — 99 56 47, 93 97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99 81 71, 93 97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93 97 57, წერილების განყოფილება — 93 97 54, მემანქანეთა ბიურო — 93 97 59, ფოტოლაბორატორია — 93 97 58, გამომშვები — 93 93 81, კორექტორები — 93 97 49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უ 02574